ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №795624

ნომერი: AR1145985

თარიღი : 11.07.2013

გაცემის თარიღი : 16.07.2013

გაცნობის თარიღი : 17.07.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თოფურია , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოდარ შურღაია პ/ნ 01024031151
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 4 ბ. 52

ორგანიზაცია:

- შპს "დასაქმების სააგენტო ეიჩარი" კოდი: 204554259

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ–ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ შენობის ფასადზე კონდიციონერების გარე აგრეგატის მონტაჟის ნებართვას პასუხად გაცნობებთ:

ქ. თბილისის 2008 წლის 22 დეკემბრის #24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე-2 მუხლის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნილ საკითხებთან დაკავშირებით ქ. თბილისის ადმინიტსრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის "ფ" ქვეპუნქტის თანახმად სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის, "ე" ქვეპუნქტით სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება. სამსახურის უფლებამოსილებიდან გამომდინარე (გადასინჯოს წარმოდგენილი საპროექტო ობიექტების ვიზუალური მხარე და მისი შემდგომი განვითარების კუთხე) .

ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური ქ. თბილისის მასშტაბით, როგორც არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროში ერთადერთი ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია იზრუნოს ქალაქის მხატვრული იერსახის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რათა სახელმწიფომ და საზოგადოებამ არ მიიღოს შენობა-ნაგებობათა და საერთო ჯამში ქალაქის დამახინჯებული იერსახე.

აღნიშნულის გათვალისწინებით ვინაიდან საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქალაქის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ადგილზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს და შენობა რომელზეც დაგეგმილი გაქვთ კონდიციონერის გარე აგრეგატის მონტაჟი არის ახლად აშენებული, არქიტექტურული თვალსაზრისით ჩამოყალიბებული იერსახის მქონე შენობა , ხოლო ფასადი, რომელზეც გაგეგმილი გაქვთ კონდენციონერის განთავსება ხილვადია შავიშვილის ქუჩის მხარიდან გაცნობებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით კონდიციონერების განთავსება მიზანშეწონილად არ მიაჩნია, რისთვისაც საჭიროა თქვენს მიერ მოიძებნოს მისი განთავსებისათვის სხვა ალტერნატიული ადგილი, რათა კონდენციონერის ხილვადობა ნაკლებ თვალსჩინო იყოს (შესაძლებელია მისი მოწყობა განხორციელდეს ეზოს მხრიდან, შენობის უკანა ფასადზე / აღნიშნული ორიენტაციის არსებობის შემთხვევაში ან განთავსდეს ერთად ჯგუფურად და შემდგომ შეიფუთოს არსებულ სიტუაციასთან მისადაგებული დეკორატიული ელემენტებით ან ასევე შესაძლებელია თქვენს მიერ შემოთავაზებული იქნას კონდენციონერების განთავსების სხვა უკეთესი ალტერნატიული ვარიანტი), შესაბამისი წერილობითი დასტურის მისაღებად საჭიროა გაითვალისწინთ შემდეგი:

1. წარმოსადგენია შეცვლილი თქვენს მიერ არჩეული სხვა ალტერნატიული ადგილის ფოტო სურათი შედარებით შორი მანძილიდან გადაღებული ;

2. წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟი კონდენციონერის განთავსების ადგილის მონაცვლეობით ახალი ფოტოსურათის საფუძველზე დამზადებული მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით :

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.